

სსიპ- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი



კავშირგაბმულობის მომსახურების შესყიდვის გამარტივებული
ელექტრონული ტენდერი

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. გორი

2014 წელი

სარჩევი

1. ტექნიკური დავალება.....
2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები.....
3. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების პროექტი.....
4. დანართი N 1 რეკვიზიტები
- 6 .დანართი N2 ფასების ცხრილი.....
7. დანართი N3 პრეტენდენტის ტექნიკური პარამეტრები.....
8. დანართი №4 ტელეფონების ნომრების ჩამონათვალი

1. ტექნიკური დავალება

1.1. შესყიდვის ობიექტი: კავშირგაბმულობის მომსახურება

მომსახურების გაწევის ვადები-ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

დაფინანსების წყარო-სსიპ გორის სასწავლო უნივერსიტეტის 2014 წლის ეკონომიკური შემოსავლები.

აუცილებელი პირობა:

-პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კავშირგაბ-მულობის მომსახურების გაწევა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

-ამ ტენდერით მოთხოვნილი მომსახურება გულისხმობს შემდეგს:

ა) საქალაქთაშორისო და მობილურ ოპერატორებთან სატელეფონო მომსახურება წამობრივი დამრგვალებით შემსყიდველის მიერ თითოეულ ნომერზე თვეში დაწესებული ლიმიტების შესაბამისად.

ბ) სატელეფონო ნომრებზე თვეში დაწესებული ლიმიტების ამოწურვის შემდეგ საქალაქთაშორისო და მობილურ ოპერატორებთან საუბრის შეზღუდვა/0-ის შეზღუდვა.

გ) სატელეფონო ნომრებზე თვეში დაწესებული ლიმიტების ამოწურვის შემდეგ ლოკალური ზარების განხორციელების შესაძლებლობა.

დ) ყოველთვიურად წარმოადგინოს გაწეული მომსახურების შესახებ ანგარიში.

ე) მოთხოვნის შემთხვევაში კანონით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდება მომსახურების შესახებ. ასევე შემსყიდველის სატელეფონო ნომრებიდან განხორციელებული, მიღებული და გაცემული ინფორმაცია, რომელიც უნდა ინახებოდეს მიმწოდებლის ბაზაში.

ვ) დავალიანების შესახებ ინფორმაციის მიწოდება:

ზ) უფასო სატელეფონო კავშირი გამარჯვებული პრეტენდენტის ფიქსირებული ქსელის და უკაბელო ტელეფონის აბონენტებთან, როგორც ქ. გორში, ასევე რეგიონებში;

თ) უშუალო მენეჯერის კონსულტაცია და ტექნიკური სპეციალისტების დახმარება 24-საათიან რეჟიმში.

ი) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ განსაზღვრული პარამეტრებით ხარისხიანი სატელეფონო კავშირის უზრუნველყოფა.

კ) პრეტენდენტის მიერ საქალაქთაშორისო და მობილურ ოპერატორებთან ზარების განსახორციელებლად შემოთავაზებული უნდა იქნეს კოდი/ინდექსი. შესაბამისად, ტელეფონის ნომრებზე შეზღუდული უნდა იყოს სხვა კოდით/ინდექსით საერთაშორისო ზარების განხორციელება.

ლ) საქალაქთაშორისო და მობილურ ოპერატორებთან ზარები უნდა განხორციელდეს მხოლოდ 0-ის გამოყენებით.

მ) შემსყიდველის ნომრებზე სხვა კომპანიების დავალიანების არსებობის შემთხვევაში, ტელეფონ(ებ)ზე გამავალი და შემომავალი ზარების შეზღუდვა არ განიხილება.

ნ) ტელეფონის ნომრებზე შეზღუდული უნდა იყოს საინფორმაციო ზარები (00). აღნიშნული სერვისის ჩართული იქნება ცალკეულ ნომრებზე შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად;

ო) ამჟამად, სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი სარგებლობს სს 'სილქნეტი'-ს მიერ გამოყოფილი 24 ნომრით (მათ შორის 20 ფიქსირებული ტელეფონის და 4 უკაბელო ტელეფონის ნომერი).

ზემოაღნიშნული ნომრები განლაგებულია გორის მასშტაბით სსიპ გორის სასწავლო უნივერსიტეტის კორპუსებში.

პ) საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს ზემოაღნიშნულ მისამართებზე განლაგებული ტელეფონის ნომრების გადატანა სხვა კორპუსებში. აღნიშნული მომსახურება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს უფასოდ შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 5 სამუშაო დღის განმავლობაში;

ჟ) საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს ახალი ნომრების უსასყიდლოდ გამოყოფა. შესაბამისად მასზე (ახალ გამოყოფილ ნომრებზე) უნდა გავრცელდეს უნივერსიტეტისათვის შემოთავაზებული ფასები.

შენიშვნა: ზემოაღნიშნულ ტენდერში არაპროვაიდერი კომპანიის გამარჯვების შემთხვევაში წყვეტა სატელეფონო მომსახურებაში არ უნდა აღემატებოდეს არაუმეტეს 3 სამუშაო დღეს. ამასთან, მომსახურებასთან დაკავშირებული სამონტაჟო, გაყვანილობის და დაერთების სამუშაოებს უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი თანხებით, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გარეშე.

მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კავშირგაბმულობის მომსახურება N3 დანართში მოცემული პარამეტრების მიხედვით.

რ) კავშირგაბმულობის სააბონენტო მომსახურების შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო ღირებულება შეადგენს 11000.00 (თერთმეტი ათასი) ლარს.

ს) გაწეული მომსახურების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი პირი, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

შენიშვნა:

- დანართი N3-ში წარმოდგენილი რაოდენობები (წუთები) სავარაუდოა. შესაბამისად, მათი რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს რაოდენობის ცვლის შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება ამ ზონაზე შემოთავაზებული ერთეულის ფასის შესაბამისად.

-ფასები წარმოდგენილი უნდა იქნეს დანართი N2-ის შესაბამისად.

- ერთეულის ფასსა და საერთო ფასს შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ერთეულის ფასს.

-პრეტენდენტმა ასევე უნდა წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია საერთაშორისო ზარების (როგორც ფიქსირებული, ასევე მობილურ ოპერატორებთან) ღირებულების შესახებ ქვეყნების და ზემოაღნიშნულ ცხრილში განსაზღვრული ზონების მიხედვით.

-ზემოაღნიშნულ ცხრილის მიხედვით განსაზღვრულ ზონებში შემავალ ქვეყნებთან საერთაშორისო სატელეფონო საუბრის განსხვავებული ტარიფის არსებობის შემთხვევაში, ცხრილში მითითებული უნდა იყოს გაშუალებული შეწონილი ფასი. ამასთან, ანგარიშსწორება განხორციელდება პრეტენდენტის მიერ ქვეყნების მიხედვით წარმოდგენილი სატელეფონო საუბრის ტარიფების შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარმოდგენილი ტარიფი აღემატება გაშუალებულ შეწონილ ფასს. ასეთ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება გაშუალებული/შეწონილი ტარიფის შესაბამისად.

-შემოთავაზებული ფასები უნდა მოიცავდეს მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს (მათ შორის, მომსახურებასთან დაკავშირებულ სამონტაჟო, გაყვანილობის და დაერთების სამუშაოების ღირებულებას (პროვაიდერის შეცვლის შემთხვევაში) და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას. სატენდერო წინადადების ფასი სისტემაში მითითებული უნდა იქნეს დღგ-ს გათვალისწინებით.

-გამარჯვებულმა კომპანიამ შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად უნდა წარმოადგინოს ახალი ფასების ცხრილი ვაჭრობის დამატებითი რაუნდების შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასების ცხრილში, თავდაპირველ ფასების ცხრილში ნებისმიერ პოზიციაზე დაფიქსირებული ერთეულის ფასის ცვლა ზრდის მიმართულებით დაუშვებელია.

1.2.პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ (ავანსის გადახდის შესაძლებლობა არ განიხილება -ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვეს ფაქტიურად ნასაუბრები დროის მიხედვით, რომელიც დაფიქსირდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს (თვე) მიმწოდებლის მიერ გამოგზავნილ ანგარიშფაქტურაში.

ბ) ინფორმაცია კომპანიის რეკვიზიტების შესახებ (ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელება, იურიდიული მისამართი, ტელეფონის/ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელ(ებ)ის სახელი და გვარი;

1.3. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

3. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. გორი

_____ 2014წ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ტენდერში გამარჯვებულთან. წინამდებარე ხელშეკრულება პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართულ ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო _____ 2014წ. ერთის მხრივ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ _____ (შემდგომში მიმწოდებელი) (მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები) შორის. იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი კოდით 64200000 (ტენდერი №SPA -----), საქალაქთაშორისო და მობილურ ოპერატორებთან სატელეფონო მომსახურების შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული ობიექტი _____ ლარად (ხელშეკრულების თანხა ციფრებით. სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით) (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება)

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“- კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება” - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი

1.7. „ტექნიკური დავალება” - სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კავშირგაბმულობის ხელშეკრულება (საქალაქთაშორისო და მობილურ ოპერატორებთან სატელეფონო მომსახურება)

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების პირობები მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადები.

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.

4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: ----- ლარს.

4.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

5. მომსახურების გაწევის წესი და ადგილი

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია ქ. გორი.

5.2. მომსახურების გაწევა ხდება ერთიანად ამ ხელშეკრულების დადგენილი წესის მიხედვით.

6. მხარეთა ვალდებულებები.

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული უნაკლო მომსახურება.

6.2. თუ კი ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი.

6.3. მიმწოდებელი უფლება მოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. შემსყიდველი ვალდებულია მომსახურების სრულყოფილად გაწევის შემდეგ გადაიხადოს

მისი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

6.5. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი.

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში, შესყიდვის ობიექტის მიღების თაობაზე მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

8.1 შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

8.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი პირები შემსყიდველის მიერ განსაზღვრული იქნება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი.

9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად ავტომატურად, მას შემდეგ რაც მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ინვოისი/ანგარიშ-ფაქტურა და შემსყიდველის მხრიდან არ არის გამოვლენილი ხარვეზი მომსახურებაში.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა.

10.1. შემსყიდველი უფლება მოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

10.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია მომსახურების სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე

ვალდებულება;

გ)შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;

ე)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.მხარეთა პასუხისმგებლობა.

11.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

11.2. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

12. ფორს- მაჟორი.

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციებისგამოყენებას:

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. ხელშეკრულების პირობების ფასების გადასინჯვა.

13.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

13.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

13.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტო ოდენობით გაზრდა.

13.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა.

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა დონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა. წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლებელია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

დამატებითი ინფორმაცია

4.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ გორი

დანართი #1

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ანგარიშის ნომერი:

(თანამდებობა,სახელი,გვარი)

(ხელმოწერა)

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი.

დანართი N2

ფასების ცხრილი

ტენდერის დასახელება _____

მომსახურების დასახელება	მომსახურების მახასიათებლები	რაოდენობა	ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი	შენიშვნა

დანართი N3

კავშირგაბმულობის მომსახურების ტექნიკური პარამეტრები

N	მომსახურების აღწერა	განზომილები ს ერთეულები	სავარაუდო რაოდენობა	ერთეულის ფასი	მომსახურების მთლიანი ღირებულება
1	ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი ფიქსირებულ ტელეფონებზე (20ტელეფონი)	თვე	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით		
2	ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი უკაბელო ტელეფონებზე (4 ტელეფონ.)	თვე	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით		
3	ადგილობრივი სატელეფონო საუბარი (როგორც ფიქსირებულ ისე უკაბელო ტელ. ნომრებიდან) ქსელის შიდა ნომრებზე, მათ შორის ფიქსირებულ და უკაბელო ტელეფონების აბონენტებთან	წთ.	ულიმიტო		
4	ადგილობრივი სატელეფონო საუბარი (როგორც ფიქსირებულ ისე უკაბელო ტელ. ნომრებიდან) სხვა ქსელის ნომრებზე, მათ შორის ფიქსირებულ და უკაბელო ტელეფონების აბონენტებთან	წთ.	22500		
5	საქალაქთაშორისო სატელეფონო საუბარი (როგორც ფიქსირებულ ისე უკაბელო ქსელის შიდა ნომრებზე ტელ. ნომრებიდან) შიდა ქსელის ნომრებზე, მათ შორის ფიქსირებულ და უკაბელო ტელეფონების აბონენტებთან	წთ.	ულიმიტო		
6	საქალაქთაშორისო სატელეფონო საუბარი (როგორც ფიქსირებულ ისე უკაბელო ტელ. ნომრებიდან) სხვა ქსელის ნომრებზე, მათ შორის ფიქსირებულ და უკაბელო ტელეფონების აბონენტებთან	წთ.	8750		
7	სატელეფონო საუბარი (როგორც ფიქსირებულ ისე უკაბელო ტელ. ნომრებიდან) მობილურ ოპერატორებთან.	წთ.	40000		
8	ქ. თბილისსა და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მომსახურე კომპანიის სატელეფონო სადგურების ფართო ქსელით უზრუნველყოფა. (დაზუსტება: სატელეფონო სადგურების ფართო ქსელი	წთ.			

ნიშნავს მასზე მიბმული სატელეფონო აბონენტების დიდ რაოდენობას შესაბამისად მეტი უფასო ზარის მომსახურე კომპანიაში).				
---	--	--	--	--

დანართი №4

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ტელეფონების ნომრების ჩამონათვალი 01. 01. 2014 წლის მდგომარეობით

				შენიშვნა
1	272997	ჭავჭავაძის-53		
2	277494	ჭავჭავაძის-53		
3	273554	ჭავჭავაძის-53		
4	271935	ჭავჭავაძის-53		
5	273213	ჭავჭავაძის-53		
6	274561	ჭავჭავაძის-53		
7	272616	ჭავჭავაძის-53		
8	272413	ჭავჭავაძის-53		
9	279185	ჭავჭავაძის-53		
10	272612	ჭავჭავაძის-53		
11	270248	ჭავჭავაძის-53		
12	274717	ჭავჭავაძის-53		
13	279132	ჭავჭავაძის-53		
14	273879	ჭავჭავაძის-53		
15	275389	ჭავჭავაძის-53		
16	274678	ჭავჭავაძის-53		
17	278384	ჩერქეზიშვილის-1		
18	279216	აღმაშენებელის-124		
19	272149	ჩოჩიშვილის-4		
20	279156	ჭავჭავაძის-53		
21	228422		უსადენო	
22	229868		უსადენო	
23	229490		უსადენო	
24	229690		უსადენო	

